# თავისუფალი საქართველო

№18
21 - 27 მაისი
1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

## 26 მაისი - ტკივილით სავსე მოგონებების იმედიანი დღესასწაული

მაისი იწურება. მივექანებით გაზაფხულის დასასრულისკენ იმ გასხივოსნებულ დღეებზე მოგონებებით და მძიმე რეალობით, რომელიც ჩვენი სამშობლოს წარსულისა და მომავლის დასამარებას ცდილობს.

მძიმე და დამქანცველი გამოდგა ეს გაზაფხული კავკასიაში - უამინდო და სისხლიანი; თითქოს პირი შეკრა შემმუსვრელ ზამთართან, თითქოს არც მოხდა ბუნების გამოღვიძება, ვერ გაიხსნა ჩვენი გულები იმედისა და რწმენისთვის, ვერ შევიგრძენით საამური სურნელი სიკვდილის ტყვეობიდან გამოხსნილი სიცოცხლის.

ცრუმშვიდობის ხუნდებში მოქცეული საქართველო თვალყურს ადევნებდა, როგორ მეორდებოდა მისი ტრაგედია მის მოძმეთა მიწაზე: ინგრეოდა ქალაქები და სოფლები, იღვრებოდა სისხლი თავისუფლებისთვის მებრძოლთა, მზაკვრულად გათვლილი დარტყმით კლავდნენ პრეზიდენტს...

ამ ტრაგედიის გვერდით კი საქართველოს მმართველი მაცდური ითვისებდა ხალხის თავისუფალ ნებას, ქვეყნის დამოუკიდებლობის ზეიმსა და ოცნებას იმ ერთიან კავკასიურ სახლზე, რომელიც ორი ერის ორმა პრეზიდენტმა ქვაკუთხედად დაუდო ჩვენს საერთო მომავალს.

წლევანდელი გაზაფხულის ეს ტკივილიანი ფიქრები თითქოს თავისით შემოიჯარა 26 მაისის გარშემო.

26 მაისი - დღე საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისა, მერაბის დაბადებისა და ზვიადის საქართველოს პრეზიდენტად არჩევისა. დღე, რომელიც ორჯერ წაგვართვეს. ამ დღეს რჩეულმა გვიჩვენა გზა ხსნისა და გზა დაღუპვისა. და ჩვენ ავირჩიეთ... და აირჩიეს მათაც. ეს დღე კვლავაც რჩება მიჯნად, ზღვარად ჩვენსა და მათ მიზნებს შორის, ჩვენსა და მათ საქართველოს შორის.

ჩამთავრდება ეს მაისიც, გადავლახავთ ამ გაზაფხულსაც, მაგრამ ზღვარი არ იშლება, კვლავ ზეობს ბარაბას გზაზე მავალი მტარვალი და ანგრევს ჩვენს ქვეყანასა და ჩვენს სულებს. გზა მაცხოვრისა კი გვავალებს - ჩვენი ტანჯვის ფასად, გამოვგლიჯოთ ავაზაკს ზღვარს მიღმა დატყვევებული საქართველო და ვიბრძოლოთ მისი გამარჯვებისთვის.

და მაშინ გამთელდება ჩვენი დანგრული სულები, დანგრეული სამშობლო, დანგრეული სახლები. აღდგება ჩვენი მუშტად შეკრული ერთობა ზეციურ საქართველოსთან, რომელსაც გვაზიარეს ზვიადმა და მერაბმა. აღდგება ოცნება, იდეა იმ სახლისა, რომელშიც უცნაურად გადაიჯაჭვა კავკასიის ორი პრეზიდენტის ბედი.





## წერილი მანანა არჩვაძე - გამსახურდიას

ქალბატონო მანანა

ახლოვდება 26 მაისი, ჩვენი სამშობლოს უდიდესი დღესასწაული, მისი დამოუკიდებლობის დღე. ეს დღესასწაული გასამებულია - ამ დღეს 1918 წელს გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ამ დღეს დაიბადა მერაბი, ამ დღეს აირჩია ქართველმა ერმა ბატონი ზვიადი თავის სულიერ წინამძღვრად.

თქვენი და თქვენი შვილების გარდა არ მეგულება სხვა ვინმე, ვისაც უფრო გულწრფელად, მთელი არსებით მივულოცავდი ამ დღეს.

არ არის დღევანდელ საქართველოში ადამიანი, რომელიც თქვენდენ გაჭირვებას და შევიწროებას განიცდიდეს. დღეს ბოროტების იმპერიის საშინელი მანქანა მიმართულია იქითკენ, როგორმე სულიერად გაგტეხონ, ქართველ ერს თქვენი თავი შეაძულონ, თქვენი ცოტნე და გიორგი სამშობლოს გარეშე დატოვონ. სრულიად ფუჭი მცდელობაა.

ვრჩები ერთგული იმ ფიცისა, რომელიც 1990 წლის იანვრის ცივ საღამოს მივეცი ბატონ ზვიადს, როდესაც გავდიოდი ჰელსინკის კავშირიდან და ვაპირებდი ახალი საზოგადოების შექმნაში მონაწილეობის მიღებას. შევპირდი მაშინ, რომ დავრჩებოდი მუდამ მისი ერთგული, ვუერთგულებდი არამარტო მას, არამედ მის ოჯახსაც.

უფალია მოწმე, ყველაფერი ვერ შევუსრულე ადამიანს, რომელმაც კაცად მაქცია, რომელმაც მომცა უდიდესი და უმტკიცესი იარაღი ბოროტებასთან ბრძოლაში. ვერ დავიცავი მზაკვართა სისასტიკისგან და, რაც მთავარია, ვერ დავასრულე ჩემი სიცოცხლე მასთან ერთად.

აი, რატომ ვერ გავბედე შემეხედა თქვენთვის თვალებში. ვერ მივეცი ჩემს თავს ამისი უფლება, ჩემო ძვირფასებო. თუ განგებამ ცოცხალი დამტოვა, მხოლოდ იმისთვის, რომ ყველაფერი გავაკეთო, რაც ერთ უბრალო მოკვდავ ადამიანს ძალუძს, რომ ჩვენი სამშობლო და თქვენ ბედნიერები გიხილოთ.

26 მაისი მერაბის დაბადების დღეა. მაპატიეთ, ქალბატონო მანანა, ტკივილის კვლავ განახლებისთვის, მაგრამ მინდა გაგახსენოთ მერაბის დაღუპვის დღე. შეცბით, წამოგივიდათ ცრემლები, მაგრამ ერთი წამითაც არ დაგვიწყებიათ თქვენი უსაყვარლესი ადამიანი, თქვენი ზვიადი. გვთხოვეთ - ნუ მომიკლავთ ზვიადს, ნუ ეტყვით ასე უცბად ამ საშინელ ამბავს, ცოტა მადროვეთ, მე თვითონ რამენაირად მოვახერხებ და ვეტყვიო.

იცით, რა ძნელი იყო ამის გაკეთება?

მე ხომ მახსოვს ზვიადის თვალები, მისი უდიდესი შეძრწუნება. თან დაგვიჯერა კიდევაც, როცა ვატყუებდით: მერაბი მძიმედ არის, მაგრამ ცოცხალიაო.

- წადით დაუყოვნებლივ მასთან, ხოლო მე მთელ მსოფლიოს შევყრი, არ მივცემ საშუალებას მტარვალებს, ძმა მომიკლანო.

ვიდექი გახევებული და გაქვავებული, ერთი ცრემლიც კი არ ჩამომვარდნია. იმიტომ, ქალბატონო მანანა, რომ იმ დროს აღარც ვიყავი ცოცხალი. წავიდა ჩვენგან ის ერთადერთი კაცი, რომელიც ღირსეულ ავთანდილობას უწევდა თქვენს მეუღლეს.

ეს აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო. ვერც ვერაფერმა შეავსო მერაბის შემდეგ დარჩენილი სიცარიელე. ვერც ჩვენ, მკრეხელებმა, რომლებმაც მისი სახელი დავირქვით, ვერ მოვახერხეთ ზვიადისთვის მისი მაგივრობის გაწევა. პირიქით, კიდევ უფრო დიდი ტკივილი მივაყენეთ.

წავიდა მერაბი და თუ ვინმემ შეძლო ამ უზარმაზარი დანაკლისის შემსუბუქება ქართველი ერისთვის, ისევ თავად ზვიადმა.

იმ დღიდან, იმ დაწყევლილი დღიდან ზვიადი აღარ იყო მარტო ზვიადი, ის ზვიადიც იყო და მერაბიც.

მე არასოდეს დამავიწყდება 1990 წლის 26 მაისი - დღე სასწაული. დღე, როდესაც ზვიადმა მთელ ერს დაუსახა სავალი გზა - ნათლად და გასაგებად. მე იქვე, მის გვერდით ვიდექი. არ დამავიწყდება მისი ხელები... როდესაც ლაპარაკობდა გზაზე ავაზაკისა, ბარაბას გზაზე, მან წამოისროლა წინ ერთი ხელი - დაკრუნჩხული და საშინელი, ვითარცა გზა ავაზაკისა; ხოლო როცა მაცხოვრის სახელი ახსენა, დათმენის, მარტვილობის, თავგანწირვის მძიმე გზაზე ალაპარაკდა... მაცხოვრის გზასავით მშვენიერი ხელი აღმართა - ლამაზი და ძლიერი. ეს იყო საოცრება. ამაზე დიდი საოცრება მე არ მინახავს. და როდესაც იყვირა - აირჩიე, ჩემო საყვარელო ერო, რომელ გზაზე გსურს სიარული - სუნთქვა შემეკრა, შემეშინდა, რომ ჩემს სათაყვანებელ ადამიანს გული გაუსკდებოდა.

იმავე საღამოს ჩვენ სუფრასთან მოვხვდით. არ ვიცი რატომ, მაგრამ ვუთხარი: ბატონო ზვიად, თქვენ დღეს არ ჰგავდით თქვენს საკუთარ თავს-მეთქი.

ნაღვლიანად მიპასუხა: დღეს არც ვიყავი ზვიადი. დღეს ერთად ვიყავი მერაბიცა და ზვიადიც, რაღაც მომენტში მთელი არსებით ვიგრძენი, როგორ გადმომეფინა მერაბის სულიო.

იმ დღეს ერთად ვხედავდი ზვიადს და მერაბს - ერთ არსში განსხეულებულს. ეს უდიდესი ბედნიერება იყო...

და ერთ-ერთი ბოლო გახსენება. 1992 წლის აღდგომა, როდესაც გროზნოში ზვიადმა გვითხრა დანაღვლიანებულებს - ნუ გეშინიათ მეგობრებო, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, და თუ მე არ მიწერია ცოცხალი შევესწრო ამ დღეს, თუ დავეცი ბრძოლაში, იცოდეთ, მკვდარიც ყველაზე უკეთ გავუსწორდები საქართველოს მტრებსო.

ახლა ძალიან მიჭირს, ქალბატონო მანანა, მაგრამ ყურში ჩამესმის ჩემი სათაყვანებელი ადამიანის ეს სიტყვები და ამ 26 მაისს ეს ხმა ყველა ცოცხალთა ხმებზე უფრო ძლიერია. თუ რაიმე კარგის, ნათელის გაკეთება მომიხერხებია ჩემს ცხოვრებაში, ამ ხმის, ამ დიდებული გრძნობის დამსახურებაა...

**ნუგზარ მოლოდინაშვილი**
**14 მაისი**

# არჩევნების შეფასება ზედაპირული იყო

18 მაისს, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში, საერთაშორისო საზოგადოებამ "სამართლიანი არჩევნები" დამსწრეთ წარუდგინა 5 ნოემბრის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების "სადამკვირვებლო პროგრამის ანგარიში". კონფერენციას ესწრებოდნენ საერთაშორისო გაერთიანებების, საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

## - აღიარებს საქართველოში ეუთო-ს მისიის წარმომადგენელი

დისკუსიის დროს განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა ქ-ნი დარია ფეინი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოში ეუთო-ს მისიის ადამიანის უფლებათა განყოფილებას. ბ-ნმა რამაზ რეხვიაშვილმა მას, როგორც არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების კოორდინატორი ორგანიზაციის წარმომადგენელს, ჰკითხა:

"- რა კომენტარს გაუკეთებდით ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებელთა შეფასებას, რომელიც გავრცელდა არჩევნების მეორე დილასვე, როდესაც თვით ამ მისიის დამკვირვებლების ნაწილი არც კი იყო დაბრუნებული რეგიონებიდან? შეფასებაში გაცხადებული იყო, რომ არჩევნები ჩატარდა ყოველგვარი სერიოზული დარღვევების გარეშე. ამ ნაჩქარევმა შეფასებამ საზოგადოებას შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ ეს დასკვნა წინასწარი შაბლონის მიხედვით იყო დაწერილი, მასში არ იყო ასახული საქართველოში ჩატარებული არჩევნების რაიმე თავისებურება და თავისუფლად გამოდგებოდა ნებისმიერი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისთვის."

"- გეთანხმებით. მე მიმაჩნია, რომ როგორც საპარლამენტო განცხადება, ისე პრესრელიზი დაიწერა ძალზე სწრაფად და, რაღა თქმა უნდა, იყო ზედაპირული. - განაცხადა ქ-ნმა ფეინმ. - მასში გათვალისწინებული იყო ინდივიდუალური, სუბიექტური შეხედულებები და არა მეცნიერული, დასაბუთებული, უფრო კონკრეტული ინფორმაციები. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ სწორედ ამიტომ არ იყო ობიექტური ის მექანიზმი, რომელმაც არჩევნების სამართლიანად ჩატარება დაადასტურა. როდესაც პარლამენტის წევრი, იტალიიდან თუ საფრანგეთიდან, ჩამოფრინდება არჩევნების წინა დღეს, არ ლაპარაკობს არც ერთ ადგილობრივ ენაზე, საარჩევნო უბანში ხედავს, რომ ამომრჩეველი იღებს ბიულეტენს, შედის ჯიხურში და აგდებს ამ ბიულეტენს ყუთში, როგორ შეიძლება მან განსაჯოს, სამართლიანია თუ არა ეს პროცედურა?!"

"- რა მიზანი აქვს მაშინ მათ ჩამოსვლას, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარ მხარდამჭერ შეფასებებს ხელისუფლება იყენებს პროპაგანდისტული მიზნებით?" - აღნიშნა ბ-ნმა რეხვიაშვილმა.

ამგვარი კომენტარის შემდეგ, ბ-ნმა ირაკლი გოცირიძემ (ბლოკი "XXI საუკუნე") მოსთხოვა ქ-ნ ფეინს: "ინდივიდუალური განცხადების მაგიერ, ჯობს ეუთო-მ გააკეთოს შესაბამისი ოფიციალური განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ დოკუმენტი იყო ზედაპირული, ხოლო არჩევნები - არასამართლიანი."

ნოდარ ნათაძემ განაცხადა, რომ იურიდიული პოზიციების გამუდმებით დათმობა შევარდნაძისა და მისი გუნდის მიერ, იმაზე უარესია, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში უცხო ტანკების თარეში. "მაპატიოს ჩვენმა სტუმარმა, მე არ გამოვრიცხავ, რომ დარღვევების ფაქტების საწინააღმდეგოდ შევარდნაძის გუნდის მხარდაჭერა, შესაძლოა იყოს სამაგიერო იმ უკანონო, უსამართლო, საერთაშორისო ნორმების უგულებელმყოფი დათმობებისთვის, რაც დაშვებულ იქნა ამ გუნდის მეთაურის მიერ და რისაც ორჯონიკიძესაც კი შეშურდებოდა. იურიდიული კაპიტულაციების გასწორების ერთ-ერთი მექანიზმია საქართველოს ხელისუფლების მოქმედებების შეფასება სასამართლო წესით."

ბ-ნმა ვახტანგ ხმალაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1991 წლის 26 მაისის არჩევნების დროს იყო უამრავი პრეცედენტი იმისა, რომ სადავო სიტუაციებში საარჩევნო კომისიების წევრები "მრგვალი მაგიდის" მმართველი ბლოკიდან მოქმედებდნენ არა პარტიული კონიუნქტურის გათვალისწინებით, არამედ სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე.

ქ-ნმა ლია ბერუაშვილმა (IGFM-ის ინდივიდუალური წევრი) გადასცა "სამართლიანი არჩევნებისა" და ეუთო-ს წარმომადგენელს IGFM-ისა და გაზეთ "თავისუფალი საქართველოს" დამკვირვებელთა ვრცელი ანგარიში არჩევნების არასამართლიანობის შესახებ. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა:

-"სამართლიანი არჩევნების" ანგარიშში არ არის პასუხი იმაზე, დაცული იყო თუ არა ამ არჩევნების დროს კოპენჰაგენის დასკვნითი აქტის პრინციპი - რომ ყოველი ხელისუფლების საფუძველია პერიოდული, ნამდვილი და პატიოსანი არჩევნები. სავიქრალია, აქ მოტანილი კონკრეტიკა დარღვევების შესახებ მიზნად ისახავს, რომ საბოლოოდ ითქვას - მართალია, დარღვევები უამრავი იყო, მაგრამ საქართველოში არჩევნები მაინც ჩატარდა. აუცილებელ პირობას იმისა, რომ არჩევნების შედეგები იყოს ხალხის ნების გამომხატველი, წარმოადგენს ქვეყნის დამოუკიდებლობა. სანამ საქართველოში იგრუხუნებენ რუსეთის ტანკები, იქნება რუსეთის მარიონეტული ხელისუფლება და ზურგს არ გაიმაგრებს ანტიიმპერიული მოძრაობა, დემოკრატიულ არჩევნებზე ლაპარაკი ტოტალიტარული რეჟიმისთვის იურიდიული რესპექტაბელობის მინიჭების მცდელობად დარჩება, რაც აუცილებლად მარცხით დამთავრდება. მოვუწოდებ საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებს, არ შეუწყონ ხელი მარიონეტული რეჟიმისთვის დემოკრატიულობის ფასადის შექმნას."

# - აკი, გითხრამდა ჯაყო...

## მემორანდუმი საფეხბურთო მარშის თანხლებით

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ე.შევარდნაძემ ერთიანი მშვიდობიანი კავკასიის შექმნის იდეა წამოაყენა. რა მიზანს ისახავს ეს ახალი ინიციატივა, იმთავითვე ნათელი იყო, მაგრამ ბევრი, ალბათ, მაინც ვერ იფიქრებდა, რომ კავკასიის რუსეთისადმი დამორჩილებისა და ფეშქაშად მირთმევის პროცესს კომპრომისთა დიდოსტატი ასეთი ტემპით წარმართავდა. აღნიშნულ მოვლენებში ერთ-ერთი წამყვანი როლი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკას დაეკისრა, ხოლო ქართულ-ოსური კონფლიქტის "მოგვარების" საკითხი, ფაქტობრივად, "ახალი კავკასიური ერთობის" ჩამოყალიბების დასაწყისად იქცა... შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ამ იდეას ერთ-ერთი პირველი სწორედ ა. გალაზოვი გამოეხმაურა. დღეს საქართველოს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა - წინა პლანზე წამოსწია სამაჩაბლოს მოწესრიგებული პრობლემა.

ბოლო წლების გამოცდილებამ ქართველებს ბევრი რამ გვასწავლა. უკვე ვიცით, რასაც მოასწავებს ჩვენს ხელისუფალთა მიერ ამა თუ იმ რეგიონზე ყურადღების გადატანა, რას გვიქადის რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა გახშირებული ვიზიტები, შევარდნაძის მოსკოვური ვოიაჟები, იქ მიღწეული ორ თუ სამმხრივი შეთანხმებები, "კონსტრუქციული საუბრები და წინგადადგმული ნაბიჯები". მათი წყალობით მოგვარებული აფხაზეთის პრობლემის შემდეგ, დღის წესრიგში სამაჩაბლო - ქართულ-ოსური კონფლიქტი დადგა. ამ მიმართულებით მოძალადე ხელისუფლებამ პირველი ნაბიჯები სახელმწიფო გადატრიალებისთანავე გადადგა - ჯერ იყო და, თავისუფლება უბოძეს ოს სეპარატისტთა ლიდერს, ქართველები ოსების გენოციდში დაადანაშაულეს და შემდეგ დიდი პოლიტიკის ცივილიზებულ ურთიერთობათა კანონების შესაბამისად მოუბოდიშეს ქართველი "მოვაშისტო" ელემენტებისგან აკლებულ და შეჭირვებულ კაცობრიობას.

"ჩვენ ბევრი რამ გვაპატია მსოფლიომ" - მოსკოვიდან მოვლინებული კაცობრიობის ქურუმის ეს სიტყვები ღმის დევნად გაიხადეს ქართველმა კოსმოპოლიტებმა და დაიწყო ეროვნული ხელისუფლების მიერ "ჩადენილ დანაშაულებათა" გამოსწორების პროცესი. მერე იყო უამრავი ახალი უბედურება: სამეგრელო, აფხაზეთი... და სამაჩაბლოს საკითხმა ცოტა ხნით უკანა პლანზე გადაიწია. ეს მდგომარეობა, ბუნებრივია, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ნათელი იყო, რომ ადრე თუ გვიან ხელისუფლება მიუბრუნდებოდა ამ რეგიონს "გლობალური ინტერესების" გათვალისწინებით.

სამაჩაბლოს პრობლემა მეტად უცნაურად და ორიგინალურად შემოიჭრა ხელმძღვანელ ხელისუფლების რეპერტუარში - ბლანტერის საფეხბურთო მარშის თანხლებით (აქაიგური მატჩი ქართველებსა და ოსებს შორის). მოგეხსენებათ, ამგვარი ნახევრად კულტმასობრივი და ნახევრად პოლიტიკური ღონისძიებები საუკეთესო ფონს უქმნის ხელისუფლებას ახალ-ახალი კაბალური გადაწყვეტილებების მისაღებად. ამ დროს შესამჩნევად გააქტიურდებიან ხოლმე მარადიული ფასეულობების, ზოგადსაკაცობრიო იდეალების ერთგულებაზე შეფიცული ხელისუფლების მხარდამჭერნი, ელიტარული ფენების წარმომადგენელნი და პრესის მუშაკები. მათ უნდა შეამზადონ საზოგადოება ყოველი ახალი ანტიეროვნული გადაწყვეტილების, ახალი უბედურების უპროტესტოდ, გულგრილად, არხეინად მისაღებად; მათ უნდა იქადაგონ მორიგი კაპიტულაციის წინ ამ ნაბიჯის გარდაუვალობაზე, ისტორიულ აუცილებლობასა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე, ხალხს უნდა შეახსენონ მივიწყებული "კეთილმეზობლური" წარსული, ისტორიული მეგობრობის ტრადიციები...

დღეს ქართულ-ოსური მოყვრობის ახალი ფურცლები იწერება, მზადდება ფონი ახალი მოლაპარაკების გადაწყვეტილების მისაღებად.

"ჩვენ შეშფოთებულნი ვართ იმით, რომ უმაღლესი დონის შეხვედრები ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხის შესახებ საიდუმლო ვითარებაში ტარდება" - აცხადებენ სამაჩაბლოელი ლტოლვილები.

ხელისუფლება კი აგრძელებს დუმილს, საიდუმლო გარიგებების დადებას.

1996 წლის 16 მაისს მოსკოვში ხელი მოეწერა ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილე მხარეთა უშიშროებისა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რითაც დაიწყო სამაჩაბლოს გასხვისების ბოლო და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევის მორიგი ეტაპი. მემორანდუმზე ხელისმომწერებმა აღნიშნეს, რომ უნდა დაჩქარდეს მოლაპარაკების პროცესი სტატუსთან დაკავშირებით. ამ მოვლენებში აქტიურად იქნება ჩართული ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელმაც აღნიშნული კონფლიქტის მოგვარების ანტიქართული გეგმის შემუშავებით დაგვამახსოვრა თავი. ეუთო-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აუცილებლად შენარჩუნებულ უნდა იქნეს "სამხრეთ ოსეთი - როგორც ტერიტორიული ერთეული" ... "კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ დადგება ამ ტერიტორიული ერთეულის უფლება, შეინარჩუნოს დღევანდელი სახელი ან აირჩიოს სხვა" - წერია დოკუმენტში, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა კარგა ხანია თავიანთ მეტყველებაში აღადგინეს ეს ყოვლად მიუღებელი და აბსურდული სიტყვათშეხამება - სამხრეთ ოსეთი, რითაც, ფაქტობრივად, აღდგენილად ცნეს ეროვნული ხელისუფლების მიერ გაუქმებული ავტონომია. ახლა მხოლოდ იურიდიული მხარეა მოსაწესრიგებელი და ამ საკითხის "გადაჭრაც" სულ უფრო რეალური ხდება.

**"სამხრეთ ოსეთის ავტონომიის აღდგენის შემთხვევაში გვრჩება ერთი გამოსავალი: ავიღოთ იარაღი და ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, სანამ "კანონიერად" არ ამოგვჟლეტენ, როგორც "კანონის დამრღვევ ბანდფორმირებას"** - ნათქვამია ლტოლვილთა მიმართვაში ე. შევარდნაძისადმი. ამის პასუხად მემორანდუმის პრეამბულის ერთ-ერთი პუნქტი დაადგებს: "კონფლიქტში მონაწილე მხარეები უარს ამბობენ ძალის გამოყენებაზე ან ძალის გამოყენების მუქარაზე". სამაგიეროდ, აღნიშნული დოკუმენტი სამაჩაბლოელ ლტოლვილებს პრობლემის ღირსეულად გადაწყვეტას ჰპირდება. სიტყვა "ღირსეულს" კი, მოგეხსენებათ, რა მნიშვნელობაც აქვს საქართველოს მმართველი რეჟიმის წარმომადგენელთა ლექსიკონში.

არსებული ხელისუფლების მიერ ჩადენილი ღალატისა და ძალადობის მორიგი პრეცედენტი შარავანდედით მოსავს შევარდნაძისეული ერთიანი, მშვიდობიანი კავკასიის ფსევდოიდეას. ნაშინდარის ორლობეში ნიშნის მოგებით ხვიხვინებს დასავლური "დემოკრატიზმით" და ქართული "ტოლერანტობით" გულმოცემული ჯაყოს ნაშიერი:

"- აკი, გითხრამდა ჯაყო..."

და ამ ფრაზით, მშობლიური მიწიდან გამოძევებული ქართველისთვის ნათელი ხდება: რენეგატი ხელისუფლების ძალისხმევით - გადატეხილი, დაგლეჯებული და გამოფიტულია საქართველოს ხერხემალი.

**ნუგზარ წიკლაური**

ბადრი ზარანდიასა და სხვათა სასამართლო პროცესზე ვითარება მკვეთრად დაიძაბა მას შემდეგ, რაც [illegible] მოწმეებმა და დაზარალებულებმა სამსჯავრო გამოძიებაზე არ მისცეს ბრალდების მხარისთვის სასურველი ჩვენებები; ხოლო კითხვებმა, რომელიც ბადრი ზარანდიამ დაუსვა დაზარალებულს, საფუძველი შეურყია 1994 წლის 16 მაისის მკვლელობის ვერსიას. ბადრი ზარანდიას ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით, განსასჯელებმა დააყენეს მოთხოვნები. ამან უკიდურესად დაძაბა სიტუაცია, რაც მოსამართლე ჯ. ლეონიძემ დაუყოვნებლივ გამოიყენა და ექვსივე განსასჯელი გააძევა სასამართლოს სხდომებიდან.

13 მაისს უზენაესი სასამართლოს კოლეგია შეუდგა მუშაობას განსასჯელთა დაუსწრებლად - თავისთვის მეტად ხელსაყრელ სიტუაციაში. მთელი კვირის განმავლობაში უხვად ცხადდებოდნენ მოწმეები, რომელთა მოყვანა მანამდე პრობლემად ქცეულიყო. მათ შორის იყვნენ

# რატომ ბობოქრობს მოსამართლე

თბილისის მცხოვრებლები, რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლები - ავთანდილ ქურხულიშვილი და რევაზ ზარანდია, ზუგდიდის პროკურატურის წარმომადგენელი მებრძოლ ჭკადუა, ზუგდიდის პოლიციის სამძებროს უფროსი სერგო ჩაჩიბაია, წალენჯიხის პოლიციის სამძებროს უფროსი ინსპექტორი პეტრე კვარაცხელია. ყველა მათგანი, განსასჯელთა ჩვენებების მიხედვით, მონაწილეობდა მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ "დამუშავებაში" წინასწარი გამოძიების დროს.

მოსალოდნელი იყო, რომ ცარიელ დარბაზში მათი ჩვენებები შეუფერხებლად წარიმართებოდა მართლმსაჯულების წარმომადგენელთათვის სასურველი მიმართულებით. მაგრამ ასე არ მოხდა, ვინაიდან პროცესში მონაწილე ადვოკატებმა გარკვეული წინააღმდეგობა გაუწიეს სხდომის ტენდენციურად წარმართვის მცდელობას.

დილიდანვე დარბაზში არ დაუშვეს არამარტო დამსწრენი და ჟურნალისტები, არამედ დაზარალებულები და განსასჯელთა ოჯახის წევრები. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე ლეონიძემ ცარიელ დარბაზში წაიკითხა განჩინებები ადვოკატების მიერ დაყენებულ ორ შუამდგომლობაზე. შუამდგომლობები შეეხებოდა 5 განსასჯელის განცხადებას პროცესზე დაბრუნების თაობაზე და სამხედრო ტყვე ბადრი ზარანდიას დაცვის საკითხს (იგი ითხოვდა ადვოკატ გ. მდინარაძის აცილებას და საზოგადოებრივ დამცველად თავისი დის - მარინე ზარანდიას დაშვებას). ყველა შუამდგომლობაზე გამოტანილ იქნა უარყოფითი განჩინება. მხოლოდ ამის შემდეგ, დიდი ბრძოლის შედეგად მოხვდნენ დარბაზში მსურველები. ადვოკატების პროტესტზე სხდომის კვლავ დახურვასთან დაკავშირებით, ლეონიძემ თავი იმართლა, რომ მოხდა გაუგებრობა და ყველა მსურველს შეუფერხებლად შეუძლია დაესწროს სხდომას.

მოწმეებმა ჩვენებებში უარყვეს განსასჯელთა წამებისა და დაშინების ფაქტები, მაგრამ მათ მონათხრობში აშკარად იკითხებოდა წინააღმდეგობები და დარღვევები. ადვოკატებმა, ბუნებრივია, თავიანთ კითხვებში დააფიქსირეს ეს წინააღმდეგობები, რაზეც მოსამართლე ლეონიძე მეტად მწვავედ რეაგირებდა. იგი გამუდმებით შედიოდა პოლემიკაში ადვოკატებთან, ხსნიდა მათ მიერ დასმულ კითხვებს. ამის საპირისპიროდ, სასამართლო პროცესის მთელი მსვლელობის მანძილზე, თავად გამუდმებით ეხმარება მოწმეებს ბრალდების სასარგებლო ფორმულირებების ჩამოყალიბებაში, უსვამს კარნახის შემცველ (მისახვედრ) კითხვებს და ხელს უწყობს მათ მიერ კარაუდების გამოთქმას.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლე ჯ. ლეონიძე განსასჯელთა გაძევებამდეც "შეხმატკბილებულ დუეტში" გამოდიოდა პროკურორ ა. სიკიაშვილთან და შესაშური ენთუზიაზმით იზიარებდა მის პოზიციას უკლებლივ ყველა შუამდგომლობასთან დაკავშირებით. მაგრამ მიუხედავად ამისა, დარბაზში ფარდობითი სიმშვიდე იყო. ახლა რატომღაც მისმა რისხვამ მოფეტებულად იჩინა თავი და ადვოკატებისკენ წარიმართა. საოცარია, რა აღელვებს კოლეგიის თავმჯდომარეს მაშინ, როდესაც "წესრიგის დამრღვევი" პატიმრები დარბაზში აღარ იმყოფებიან, რატომ ბობოქრობს მოსამართლე ლეონიძე, ან რა ზღვარს მიაღწევს მისი გაღიზიანება?

# შეიარაღებულ მოწმეებს ბოლო არ უჩანს

ბადრი ზარანდიასა და სხვა გაძევებულთა სასამართლო პროცესზე 15 მაისს გამოცხადდა დიდი ხნის "ნანატრი" მოწმე - ზუგდიდის პოლიციის სამძებროს უფროსი სერგო ჩაჩიბაია, რომელიც სასამართლოს წინაშე იარაღასხმული წარდგა. მოსამართლე ჯ. ლეონიძის დელიკატური შენიშვნის შემდეგ იარაღი გარეთ მყოფ კოლეგა-მოწმეს, ზუგდიდის პროკურატურის თანამშრომელს მ. ჭკადუას გადააბარა. საკვირველი არ არის, რომ მისი შემდგომი ჩვენებაც ამ საქციელის ადეკვატურად წარიმართა. მან შთაგონებით მოუთხრო სასამართლოს ზუგდიდში შემოყვანილი კონფედერატების შესახებ მიუხედავად იმისა, რომ ისინი თურმე არ უნახავს, რადგან ღამით დაბანაკებულნი იყვნენ სხვადასხვა შენობებში, დილით კი ადრე გადიოდნენ საბრძოლო ოპერაციებზე. სამაგიეროდ, მოწმე ს. ჩაჩიბაიამ არაფერი იცოდა გურგენ მალანიას წამების შესახებ.

ჩაჩიბაიას, რომელიც გატაცებით აღწერდა თავზე თასმაწაკრულ ჩეჩნებს და აფხაზების სამხედრო ფორმებზე გამოსახულ ემბლემებს (რომლებიც, როგორც უკვე ვთქვით, პირადად არ უნახავს), "არ ახსოვდა" თავის მიერ ჩატარებული ოპერატიული სამუშაოს მნიშვნელოვანი დეტალები. არ ესწრებოდა წინასწარი გამოძიების მთელ რიგ მოსამზადებელ პროცედურებს. ასევე არაფერი სმენოდა მისი მონაწილეობით დაკავებული გაბრიელ (დათო) ბენდელიანისთვის ფრჩხილების დაძრობის შესახებ, თუმცა, ამ ფაქტს თვით თბილისელი გამომძიებელი ა. ქურხულიშვილიც არ უარყოფს.

დარბაზიდან გასვლის შემდგომ ჩაჩიბაიას ვთხოვეთ ეპასუხა რამდენიმე ზოგად კითხვაზე ოპერატიული სამსახურის მუშაკების მიერ სატაბელო იარაღის ტარების წესებთან დაკავშირებით, მაგრამ მან არ ისურვა ჩვენთვის პასუხის გაცემა და გაქცევით უშველა თავს.

საინტერესოა, აცნობეს თუ არა მას ადრე მოწმედ დაკითხულმა ქვეშევრდომებმა რ. გოგენიამ და დ. კვიტატიანმა, რომ მათ შენიშვნა მიიღეს სასამართლო დარბაზში იარაღით შემოსვლის გამო. და თუ აცნობეს, რით იყო გამოწვეული, მისი მხრიდან იგივე დარღვევის გამეორება? ალბათ, როგორც სამძებრო განყოფილების უფროსი, იგი თვლის, რომ მისი უფლებები აღემატება ქვეშევრდომთა უფლებებს და ეს ნებას აძლევს, ყველა ვითარებაში თან იქონიოს იარაღი.

სამაგიეროდ, ამ ფაქტმა მოსამართლე ლეონიძეს მისცა თვითკმაყოფილების დემონსტრირების საშუალება - მან პირადი ინიციატივით, სხვისი კარნახის გარეშე, "დროულად" აღკვეთა იარაღიანი მოწმის თვითნებობა, რითაც სანიმუშო წესრიგი დაამყარა სასამართლო დარბაზში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**უზენაეს სასამართლოში, სადაც მიმდინარეობს "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" განხილვა, გასულ კვირას ჩატარდა სამი, შეიძლება ითქვას, ისტორიული სხდომა, დაიკითხა სამი მოწმე და ბრალდების მხარემ სამჯერ განიცადა შთამბეჭდავი მარცხი**

# პროკურატურა მის მიერვე დაგებულ მახეში გაება

17 მაისს სასამართლო დარბაზში კიდევ ერთი მხიარული წარმოდგენა გაიმართა. მოწმედ დაიკითხა ხობის მცხოვრები ბონდო კუტალია, რომელიც, საქმის მასალებიდან გამომდინარე, თითქოს შეესწრო 1993 წლის 28 ოქტომბერს ლოთი ქობალიას მიერ ექვსი პირის, მათ შორის ჟურნალისტ დავით ბოლქვაძის, დახვრეტას. მოწმის სრულიად არაჩვეულებრივმა ხედვამ და ფაქტების დაფიქსირების უნარმა დაზარალებულებსაც კი მოჰგვარა ღიმილი. საკმარისია ისიც, რომ კუტალია სხვადასხვა პასუხებს იძლეოდა ერთსა და იმავე შეკითხვებზე, ეწინააღმდეგებოდა საკუთარ მტკიცებებს, თითქმის შეუძლებელი გახდა მისგან რაიმე დეტალების დაზუსტება - იმდენად, რომ თავად პროკურორებმაც დაკარგეს მოთმინება.

დაცვის მხრიდან ინიციატივა აიღო ლოთი ქობალიას ადვოკატმა ოთარ ფანქველაშვილმა, რომელმაც ვირტუოზულად ჩატარებული დაკითხვით სრულად გამოავლინა, რომ ბონდო კუტალიას ჩვენებები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სარწმუნოდ. უპირველესად, დაქვეითებული მხედველობის მქონე პიროვნება იმ დღეს სათვალის გარეშე იყო და ეს თვითონ აღიარა, თუმცა თავი იმართლა - მაშინ უკეთესად ვხედავდიო. მაშ ასე, 30-35 მეტრის დაშორებიდან კუტალია ხედავდა მწვანე "უაზ"-ის ტიპის მანქანით მოსულ ქობალიას, რომელსაც შავი ტყავის ქურთუკი ეცვა და ხელში რაღაც ეჭირა; სამ ახალგაზრდას, რომელთაგან ერთი ჯინსებში და ფერადზოლებიან თეთრ ბოტასებში იყო. მან საბუთი ამოიღო და მიაწოდა, თან რაღაც "იაშჩიკი" ჰქონდა; მერე ქობალიამ გაისროლა. დაეცა თუ არა ახალგაზრდა, მოწმეს არ დაუნახავს, ვინაიდან სროლაზე ცუდად ხდება და სახლში წამოვიდა. ამ შემთხვევიდან ოთხი საათის შემდეგ კუტალია კვლავ გადის ქუჩაში და ისევ გადაეყრება ქობალიას, რომელიც ისევ მის თვალწინ კლავს ისევ სამ ახალგაზრდას... ამას გარდა კუტალიამ ნახა მებრძოლთა ჯგუფი, რომლებსაც შუბლზე მწვანე ლენტები ჰქონდათ.

ეს უთვალავი ფერით შემკული სამყარო სრულიად გადასხვაფერდა წინასწარ ძიებაში მიცემული ჩვენებების გამოქვეყნების შემდეგ. უპირველესად, მოწმის სტილი ნაწერებში მნიშვნელოვნად დახვეწილი ჩანდა, დეტალები აბსოლუტური სიზუსტით მითითებული, მოწმეს ადგილის სქემაც კი დაუხაზავს. ამასთან, მწვანე "უაზ"-ი გადაიქცა თეთრი ფერის უცხოურ, ანტენებიან მანქანად, "იაშჩიკი" - კამერად, ქობალიას შავი ქურთუკი გაყავისფრდა, ის რაღაც, რაც მას ხელში ეჭირა, აღმოჩნდა გადაჭრილი ავტომატი, ახალგაზრდას თეთრი ბოტასები გამუქდა. ამ ჩვენების თანახმად, მას ქობალია მრავალჯერ ჰყავდა ნანახი ტელევიზიით და მიტინგებზე, ხოლო სასამართლოზე განაცხადა, რომ მას სხვებმა უთხრეს - ეს ქობალიააო. ამდენად, გამომძიებლების თანდასწრებით კუტალიას აშკარად უფრო ჩამოყალიბებული აზრები აღმოაჩნდა.

ყველაფერს ნათელი მოჰფინა ზვიად ძიძიგურის მიერ ჩატარებულმა საგამომძიებლო ექსპერიმენტმა. მან მოწმეს იქვე მაგიდაზე მდგარ ცისფერ თერმოსზე ჰკითხა, რა ფერიაო. "მწვანე" - დარწმუნებით უპასუხა კუტალიამ. იცინოდა ყველა, მბრალდებელთა გარდა. მაგრამ ალადაშვილს არ სურდა დაეჯერებინა ბრალდების სრული მარცხი და განაგრძო ექსპერიმენტი - აბა ეს წიგნი რა ფერიაო, მაგიდაზე გადაფარებული ნაჭერი რა ფერიაო და ა.შ. "ვერ ვამბობ ფერებს" - შესჩივლა მოწმემ. "ვერ ამბობთ, თუ ვერ არჩევთ" - იმედი მიეცა მოსამართლეს. გაირკვა, რომ მოწმე იმასაც ვერ ამბობს, რომ ფერებს ვერ არჩევს. "ის მწვანე ლენტები როგორ გაარჩიეთ" - გაისმა პროკურორის კითხვა. "ისლამის ფერია მწვანე და ასე უთხრეს, არ გესმით?" - განუმარტეს განსასჯელებმა.

მოწმემ თავი იმართლა იმით, რომ ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა და ბევრი რამ დაავიწყდა. მაშინ ადვოკატმა ფანქველაშვილმა სთხოვა მას გაემეორებინა იმ ექვსი დახვრეტილი პირის გვარი, რომელიც აბსოლუტური სიზუსტით ჰქონდა მითითებული წინასწარი ძიებისას მიცემულ ჩვენებებში და რამდენიმე წუთით ადრე სასამართლო სხდომაზეც არაერთხელ გაიმეორა. კუტალიამ მხოლოდ ორი გვარის გახსენება შეძლო - ცქიტიშვილი და ბოლქვაძე.

მაშ ასე, პროკურატურა მის მიერვე დაგებულ მახეში გაება და კიდევ ერთხელ გამოავლინა, რომ უძლიერესი სადამსჯელო მექანიზმიც კი ვერ უზრუნველყოფს აშკარა ფალსიფიკაციის შენიღბვას.

# ქვიშის კარიერის გენერლები

14 მაისს მოწმის სახით დაიკითხა გენერალი ზაურ უჩაძე, რომელიც ჯერ სსრკ-ს ჯარში მსახურობდა, შემდეგ კი, დღიდან მისი შექმნისა - ეროვნულ გვარდიაში; იყო რკონში, ტელევიზიის შენობაში, ცირკში, საიდანაც ზოგჯერ ქვემეხიც ისროდა ხოლმე. მისი თქმით, დეკემბერ-იანვრის მოვლენებში მას მონაწილეობა არ მიუღია, რაც მეტად საგულისხმო მოტივით ახსნა - "როდესაც არ მოხდა შეთანხმება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და **უნდა დაწყებულიყო საბრძოლო მოქმედებები**, მე დავწერე პატაკი თავდაცვის მინისტრის სახელზე და გავედი გვარდიიდან." ეს მოტივი საგულისხმოა პირველ რიგში იმით, რომ აქარწყლებს ბრალდების მცდელობას, საქართველოში მომხდარი გადატრიალების დაწყება უზენაესი საბჭოს შენობიდან გასროლით ახსნას. აღსანიშნავია, რომ ასეთი სამხედრო ბიოგრაფიის მქონე პიროვნებამ ისიც კი არ იცოდა, რომ 1991 წელს ეროვნულ გვარდიაში მომხდარი განხეთქილების დროს საერთოდ არ არსებობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და, შესაბამისად, თენგიზ კიტოვანი არ იყო თავდაცვის მინისტრი. მაგრამ გენერალმა იხტიბარი არ გაიტეხა - ჩვენ მას ასე ვეძახდითო. "თქვენ მას "ბატკასაც" ეძახდით" - შეახსენეს განსასჯელებმა.

ბოლოს უჩაძე ოჩამჩირის ფრონტის სამხედრო შტაბის ხელმძღვანელიც იყო, ანუ ერთ-ერთი მათგანი, ვისაც შევარდნაძემ უკვე დააკისრა პასუხისმგებლობა აფხაზეთის ომის წაგებისთვის. ტელეგადაცემა "მაცნეს" პროპაგანდის საპირისპიროდ, უჩაძემ სწორედაც რომ არ დაადასტურა აფხაზეთის ომის მსვლელობისას კანონიერი გვარდიის მიერ სამეგრელოს ტერიტორიაზე გზის გადაკეტვის ფაქტი. მან თქვა, რომ პირადად მისთვის გზა არ გადაუკეტავთ. იყო შემთხვევა, როდესაც რამდენიმე ყუთი ტყვია-წამალი გაქრა, მაგრამ ისიც დააბრუნეს. თუმცა მან იქვე აღნიშნა, რომ სამეგრელოს ტერიტორიაზე გავლისას იყო რისკთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემები...

ამ პასუხებზე მოსამართლე ალადაშვილი აყვირდა: "ასეთი პოზიცია გეკავათ ომის დროსაც - არც იქით, არც აქეთ? ვის გინდათ ასიამოვნოთ? ილაპარაკეთ სიმართლე, ნუ არბილებთ!"

ბუნებრივია, ალადაშვილის ეს გამოხდომა განსასჯელების მიერ უმალ იქნა შეფასებული როგორც მოწმეზე პირდაპირი ზემოქმედება, მისგან ჩვენების გამოძალვის მიზნით. "მე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, - მიმართა მას ზვიად ძიძიგურმა, - რომ ამ სასამართლოზე არ არის მოსამართლე, არის მხოლოდ პროკურორი. თქვენ ყოველი სხდომით, ნელ-ნელა ემსგავსებით პროკურორს. ვის უნდა ასიამოვნოს, რა გინდათ ამით აჩვენოთ, რომ ჩვენი ეშინია და შევარდნაძის არა?"

აი, ამ ბატალიების შემდეგ მოწმემ ამოღერღა - ზუგდიდში გზა იყო გადაკეტილი... თუმცა იქვე, ლოთი ქობალიას კითხვებიდან გამომდინარე, გაირკვა, რომ ოჩამჩირის შტაბსა და კანონიერი გვარდიის ხელმძღვანელობას შორის არსებობდა შეთანხმება, შესაბამისი მოწმობის გარეშე არ გაეტარებინათ აფხაზეთიდან მომავალი შეიარაღებული პირები. ამასთან უჩაძე ხაზს უსვამდა, რომ ეროვნული გვარდია ეწინააღმდეგებოდა აფხაზეთიდან იარაღის გატანას 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულების შემდეგ. უჩაძემ ვერ დაადასტურა ისიც, რომ ომის ბოლო ეტაპზე კოდორის მისადგომებთან გადასროლილი კანონიერი გვარდიის ამოცანაში შედიოდა სოხუმში შესვლა.

ამ რვასაათიანი მარათონის კულმინაცია იყო მოწმის დაკითხვა განსასჯელთა მიერ.

კითხვებს სვამს ჯამბულ ბოკუჩავა, პასუხობს ზაურ უჩაძე:

**- რატომ აგრძელებდით საბრძოლო ტექნიკის გამოყვანას, როდესაც აფხაზებს ჯერ შეთანხმების პირველი პუნქტიც არ ჰქონდათ შესრულებული?**

- აფხაზებს უნდა დაეხიათ გუდაუთისკენ 19-20 კმ-ით...

**- თუ ისინი 20 კილომეტრიან ზოლზე იხევდნენ, ჩვენ რატომ ვიხევდით 170 კილომეტრიანი ზოლის მიღმა?**

- აქ იყო ორი ეტაპი: ერთი დაშორიშორება, მეორე აფხაზების განიარაღება.

**- ყარყარაშვილი რომ გადმოვიდა კოდორზე ჩვენი პოზიციების გავლით, მას არ შეეძლო უკნიდან შემოევლო ახალდაბისთვის და იქიდან დაერტყა აფხაზებისთვის?**

- მან ეს ვერ შეძლო.

**- თუ არ შეძლო? რამდენი შეიარაღებული პირი იყო 24-ე ბრიგადაში?**

- 1500-მდე.

**- ქობალიას რამდენი ჰყავდა კოდორზე?**

- 200-მდე.

**- იცით თუ არა, რომ სოხუმში საწყობებში დარჩა 2000-ზე მეტი ავტომატი, ტყვია-წამალი, ჭურვები?..**

- ეს არასწორია, უკან დახევისას ჩვენ შეიარაღებას ვანადგურებდით, მხოლოდ ხიდებს არ ვაფეთქებდით...

ეკითხება ზვიად ძიძიგური:

**- თქვენ განაცხადეთ, რომ 27 ივლისის ხელშეკრულების დარღვევა ქართული მხარის მიერ დააფიქსირა ერთობლივმა კომისიამ სამურზაყანოს ბატალიონში მომხდარი შეტაკებისას. ე.ი. არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, რომ აფხაზები განაახლებდნენ საბრძოლო მოქმედებებს. მაშინ რატომ შეხვდა ოჩამჩირის შტაბი ასე დეზორგანიზებული კოდორზე დესანტის გადმოსხმას?**

- ?!

**- შეთანხმების დადებიდან ერთ თვეში იქნა განიარაღებული ქართული მხარე. აფხაზებმა რა დროში შეასრულეს შეთანხმება? (დუმილი) არ მესმის, ბატონო ზაურ.**

- ჩვენ, ალბათ, არ უნდა გაგვეყვანა ტექნიკა აფხაზეთიდან...

**- გინახავთ თუ არა ოჩამჩირეში რაულ ქიშმარია?**

- მინახავს კიდევაც და მის შტაბშიც ვყოფილვარ შერიგებაზე წარმოებული მოლაპარაკებების დროს.

**- ბეწვზე ხართ გადარჩენილი დაჭერას (მოლოდინაშვილის რეპლიკა). - მე ყველაფერი წინა მაქვს...**

**- იყო თუ არა ოჩამჩრის დატოვების ბრძანება?**

- არა, არ ყოფილა.

**- რა ჰქვია იმ სამხედრო პირს, რომელიც ბრძანების გარეშე ტოვებს პოზიციას?**

- ჩვენ ვატყობინებდით ხელმძღვანელობას შექმნილი ვითარების შესახებ, ისინი შესაბამის უწყებებს აყენებდნენ საქმის კურსში...

- "არ იყოო ბრძანება, ხომ გაიგონეთ" - ვერ ისვენებს მოსამართლე.

ეკითხება ნუგზარ მოლოდინაშვილი:

**- მიღებული იქნა თუ არა ზომები, რათა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას თავისი ძალებით დაეცვა სარკინიგზო მაგისტრალები?**

- არ ვიცი.

**- თქვენ თქვით, რომ ქობალია მსუბუქად იყო შეიარაღებული. რაკი მის იმედად შედიოდით აფხაზეთში, ხომ არ ჯობდა შესვლამდე მისი უფრო მძიმედ შეიარაღება? (მოწმე დუმს) დემილიტარიზებულ ზონაში ვინ უფრო ახლო იყო სოხუმთან, ჩვენ თუ აფხაზები? (დუმილი) აფხაზები ხომ იყვნენ გუდაუთის აქეთ?**

- ათონთან იყვნენ.

**- მერე, ათონი სადაა, გუდაუთის იქით ნუ გადაიტანთ... სამხედრო თვალსაზრისით, როგორი შინაარსისა იყო 27 ივლისის ხელშეკრულება?** - იძულებითი.

**- იცნობთ თუ არა იმ პუნქტს, სადაც ნათქვამია: მიეცეს საშუალება აფხაზეთის უზენაეს საბჭოს განაახლოს თავისი მუშაობა სოხუმში? აქ ლაპარაკია არძინბაზე...**

- ნადარეიშვილზეც. მე ვფიქრობ, რომ აქ გაერთიანებაზეა ლაპარაკი.

**- რასაკვირველია, მაგრამ არძინბაც ხომ იგულისხმება? ახლა მე გეკითხებით, რატომ არ შეასრულეთ ეს პუნქტი? რატომ შეუშალეთ ხელი არძინბას სოხუმში ჩამოსვლას, რატომ მოახდინეთ შეტაკების პროვოცირება და მოაწყობინეთ მას ქართველთა გენოციდი? (დუმილი) არ მესმის. თუ ეს შევარდნაძეს ვკითხო, როცა აქ მოვა? მე მინდა გკითხოთ, 1993 წლის 23 ივლისს, 11 საათზე, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობაში რა გინდოდათ დაგემტკიცებინათ ბატონი გენო ადამიასთვის და რატომ გაგაჩერათ მან უცენზურო სიტყვებით?**

- ეს ეხებოდა შეიარაღების გატანას...

**- ე.ი. თქვენ ადასტურებთ, რომ აფხაზეთში მებრძოლი გენერლებისა და მეომრების უმრავლესობა შეიარაღების გატანის წინააღმდეგი იყო? (დუმილი) იყო თუ არა ასე?**

- მეომრებს ყოველთვის უჭირთ იარაღის ჩაბარება.

იმ დღეს კიდევ ორი გენერალი უნდა დაკითხულიყო - ბუთხუზ თოხაძე და ელგუჯა ბუცხრიკიძე, მაგრამ სხდომა მხოლოდ საღამოს შვიდ საათზე დასრულდა და ისინი იმ დღეს არ დაკითხულან. ჩვენდა გასაოცრად, გენერლები არც შემდგომ დღეებში გამოჩენილან. სასამართლო განხილვაზე დამსწრე საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ მათ საფუძვლიანად ამზადებენ.

16 მაისს მოწმედ იქნა გამოძახებული სოსო ჟღენტი, ეროვნული გვარდიის გურია-იმერეთის პოლკის მეთაური, რომლის საქმეც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოყოფილ იქნა მიმდინარე სასამართლო განხილვიდან. ამჟამად იგი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია მოთავსებული დიაბეტის დიაგნოზით. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღით ადრე მოსამართლემ წაიკითხა სოსო ჟღენტის შუამდგომლობა, სადაც იგი თავად ითხოვდა დაკითხვას, და რატომღაც სწორედ განსასჯელებს მიმართა - რაიმე საწინააღმდეგო ხომ არა გაქვთო. მათ ერთობ გაიოცეს - "რა უნდა გვქონდეს საწინააღმდეგო, ან როდის იყო გვეკითხებოდით, ვინ მოგეყვანათ მოწმედ?!"

# როგორ არ გამოუვიდათ არაფერი

თავისი ჩვენება სოსო ჟღენტმა დაიწყო არსებული რეჟიმის მამხილებელი განცხადებით, რომელშიც, ხელისუფლებისა და მისი სამართალდამცავი ორგანოების მიმართ წაყენებულ ბრალდებებთან ერთად, ლაპარაკია იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც ეკისრება მას და კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებულ ძალებს დაშვებული შეცდომებისთვის, რამაც განაპირობა დამარცხება და პრეზიდენტის დაღუპვა. მაგრამ "ეს არ იყო გამოწვეული ღალატით, არამედ არაპროფესიონალიზმით" - განმარტა მოწმემ.

ბრალდების მხარე თავიდან ზედმეტად აღტკინებული ჩანდა, მაგრამ დაკითხვა მძიმედ მიმდინარეობდა. თანდათან ვითარება დაიძაბა, პროკურორებმა დაკარგეს ჩვეული სიხალისე. მოსამართლე არ დააკმაყოფილა მოწმის ჩვენებებმა და შეუდგა წინასწარ ძიებაში არსებული წინააღმდეგობების განხილვას. ყრუდ გაიჟღერა ადვოკატ მარინე ალასანიას შენიშვნამ - "წინასწარ ძიებაში იგი ბრალდებულად დაკითხეს, აქ კი მოწმედაა გამოძახებული". თავად ჟღენტმა განაცხადა: "მე წინასწარ ძიებაში მიცემულ ჩვენებებზე არ ვილაპარაკებ, სანამ არ იქნება ჩემი ადვოკატი. იგი არ დასწრებია არც ერთ ჩემს დაკითხვას." შემდეგ ს. ჟღენტი შეუძლოდ შეიქნა და სხდომა მეორე დღისთვის გადაიდო. იგრძნობოდა, რომ რაღაც ხდება, მაგრამ რა?

* * *

მეორე დღეს, 17 მაისს, სოსო ჟღენტმა უარი თქვა ჩვენების მიცემაზე მანამ, სანამ მას, როგორც განსასჯელს, არ დააბრუნებენ პროცესზე; ხოლო მისმა ადვოკატმა ნანა ლიპარტიამ განაცხადა: "მე არ მაქვს უფლება, დავადასტურო ან უარვყო რაიმე, ვინაიდან აქ ჟღენტის ინტერესებს გამოვხატავ და არ ვარ დაბარებული როგორც მოწმე". ალადაშვილი კვლავ შეეცადა ჩვეული ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელებას და შეახსენა ადვოკატს, რომ მას დაურღვევია პირობა, არ შეხვედროდა ჟღენტს, სანამ იგი მოწმედ არ დაიკითხებოდა (?!). "პროკურორი რომ შეხვდეს, შეძლება? გუშინ ჟღენტთან საავადმყოფოში იყო პროკურორი". - პასუხი ზვიად ძიძიგურმა გასცა. და დაიწყო...

"ჩემზე არის დიდი ზეწოლა. ბოლო დროს საჭმლის გადმოცემის უფლებასაც არ იძლევიან. მეტს არაფერს აღარ ვიტყვი. მე ცუდად ვარ და გთხოვთ დამაბრუნოთ საავადმყოფოში." - თქვა თავად ჟღენტმა, მაგრამ ალადაშვილი არ აპირებდა ფარ-ხმლის დაყრას და შეეცადა აღეკვეთა განსასჯელების პროტესტიც. "როგორ, ჩვენ და სოსო განუყოფლები ვართ" - წამოიძახა ლოთი ქობალიამ. "აი, ახლა წავიკითხავთ მის წინასწარ ჩვენებებს და გამოჩნდება, რა განუყოფლებიც იყავით და ხართ..." - არ ცხრებოდა მოსამართლე. "ეს ჩვენებები რა ვითარებაშიც მივეცი, ყველასთვის ცნობილია. წამიყვანეთ საავადმყოფოში" - კვლავ მოითხოვდა ჟღენტი.

ჯამბულ ბოკუჩავამ აცნო საზოგადოებას: "გუშინ, საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ 35 წუთში, ჟღენტთან მივიდნენ პროკურატურის გამომძიებლები და ახდენდნენ მასზე ზეწოლას. უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში მასთან ყოველდღე დადიან..." ზვიად ძიძიგურის თქმით, "ჟღენტზე ზეწოლა რა ხანია მიმდინარეობს, ხოლო გუშინდელი შემთხვევა იყო პროვოკაცია, რომელშიც, ეჭვი მაქვს, მონაწილეობდა სასამართლოც. მოვითხოვთ, შეწყდეს ზეწოლა სოსო ჟღენტზე." ბრალდების მხარე და სასამართლო კოლეგია აშკარა პოლიტიკური სკანდალის ზღვარზე აღმოჩნდნენ. როგორც იქნა, ალადაშვილი გონს მოეგო და დაითხოვა სოსო ჟღენტი.

"როგორ არ გამოუვიდათ არაფერი?! - თითქმის გაკვირვებულმა წამოიძახა ჯამბულ ბოკუჩავამ - ცირკი მოხდება საქართველოში..."

* * *

სანამ სოსო ჟღენტი დატოვებდა შეკრებულ დარბაზს, ნუგზარ მოლოდინაშვილმა მოკლე განცხადებით მიმართა საზოგადოებას:

"ჩვენმა მეგობარმა სოსო ჟღენტმა მოწმედ დაკითხვის წინ გააკეთა განცხადება. მართალია, იგი სამხედროა. მაგრამ მე მინდა მას შევახსენო, რომ სამხედრო ტერმინოლოგიაში არსებობს დროებითი წარუმატებლობის ცნება, ხოლო სრულ კაპიტულაციას აფიქსირებენ პოლიტიკოსები. სამშობლოს სიყვარული და სიმართლე დაუმარცხებელია, ხოლო ბოროტება და სიცრუე ვერასოდეს იქნება გამარჯვებული. რაც დღეს საქართველოში ხდება, ესაა დროებითი შეფერხება, ილუზია. ბოროტება და ბოროტების მსახური მტარვალი დამარცხდება და დამარცხდება სამარცხვინოდ.

გამხნევდი, ჩემო ძმაო სოსო, გამხნევდით ძმებო, ზვიადი უკვე გამარჯვებულია! მე მას ქუდს ვუხდი, როგორც გამარჯვებულ პრეზიდენტს და მალე მოვულოცავ გამარჯვებას სრულიად საქართველოსაც. ვარდობისთვის 17, 1996 წელი. მე შემთხვევით არ დამისახელებია თარიღი. დღეს ერთი წელი შემისრულდა, ერთი წელი, რაც დამაპატიმრეს. მწუხარებას გამოვთქვამ მათ მიმართ, ვინც ეს გააკეთა, ვინაიდან ვერ დამაპატიმრეს - ვარ სრულიად თავისუფალი."

### სოსო ჟღენტის მეუღლე ითხოვს თანადგომას

სოსო ჟღენტის მეუღლემ, აზა ჟღენტმა, თხოვნით მიმართა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმსა და მთელ სამედიცინო პერსონალს, არ მოაკლონ ყურადღება დიაბეტით დაავადებულ მის მეუღლეს. "დიდ მადლობას მოგახსენებთ ყველაფრისთვის, რაც დღემდე გააკეთეთ მისი სიცოცხლის გადასარჩენად. როგორც ქალი და როგორც დედა, გთხოვთ, კვლავაც დარჩეთ თქვენს მიერ მიცემული ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულნი, რესპუბლიკის პროკურატურის მხრიდან არსებული ზეწოლის მიუხედავად. ვტოვებთ მას თქვენს იმედად, ვინაიდან ოჯახის წევრებს აკრძალული გვაქვს ყოველგვარი კონტაქტი, ხოლო ჩემი მეუღლის მიერ 17 მაისის სასამართლო სხდომაზე გაკეთებული განცხადების თანახმად, მას საჭმელსაც არ აწვდიან, რაც დაავადების ფონზე, შესაძლოა, დამღუპველიც აღმოჩნდეს."

# სამი კაკალი მხოლოდ კონკიასთვის

თავის დროზე, სასამართლო დარბაზში მოწვეული "დაზარალებულები", ალბათ, ჩვეულებრივი ადამიანებივით ცხოვრობდნენ. მოგვიანებით, მათი ცხოვრების გზაზე გამოჩნდა გარკვეული პერსპექტივა. ზოგი მათგანი ჩინიანი მოხელე გახდა, ზოგი უფრო ხელმოცარული კი, უკეთესი მომავლის მოლოდინში, გაითქვიფა პასიური და უშინაარსო ყოფის წვრილმანებში. სასამართლო დარბაზში ჩვენების მისაცემად მოსულებს, წინასწარი საგანგებო დამუშავების მიუხედავად, კიდევ ერთხელ მიეცათ არჩევნის შანსი: სიმართლის თქმა ადამიანური ღირსების გადარჩენის პერსპექტივით და ბინძური სიყალბე რეჟიმის მიერ ბოძებული შეღავათების გარანტიით. ეს გამოცდად ქცეული ალტერნატივა წამების იარაღად იქცა მიმდინარე სასამართლო პროცესზე და მას ვერც ერთმა იქ მისულმა ვერ გაუძლო.

"დაზარალებულნი" ორ ნაწილად გაყვეს: პირველი - ჩინიანი და "ელიტარული", ხოლო მეორე - უჩინო და "მდაბიო". პირველი კატეგორიის დაზარალებულთა სახე ხუნტის ყოფილი მინისტრის პიროვნებაში პერსონიფიცირდა, ხოლო მეორე - შვილის მოსაძებნად რუსთაველზე გამოსულ, დედობრივი გრძნობით გულანთებულ ქალბატონში.

ასე გაერთიანდნენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები არსებული რეჟიმის მიერ შემოთავაზებული "დაზარალებულთა" ეგიდის ქვეშ, ზნეობრივი კომპრომისების სანაცვლოდ. შესაბამისად, "დაზარალებულთა" წინასწარი დამუშავება და სასამართლო პროცესზე მათი მართვის მექანიზმი სხვადასხვა მეთოდებით ხორციელდება.

ყოფილ თანამდებობის პირებსა და ჩინოსნებს მეტი პატივით ექცევიან. მათ არ სჭირდებათ მოსამართლის კარნახი და მინიშნებები, რადგან შესანიშნავად იცნობენ არსებულ კონიუნქტურას. გადამდგარი მინისტრი, რომელსაც კრიმინალურ სამყაროში კაცური კაცის სახელი აქვს, სხვას ვერაფერს ახერხებს გარდა იმისა, რომ თქვას მხოლოდ ნებადართული სიმართლე და არ წამოსცდეს ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი.

საქმე ისაა, რომ მინისტრს მთელი ცხოვრება "ფორმა" ეცვა, რომლის გახსენებაც ახლა შეიძლება ერთგვარ სინანულსაც კი ჰგვრიდეს განგების გადაულახავი ბარიერის წინაშე აღმოჩენილი საკუთარი ბედისწერის გამო. ამ "ფორმას" უძღვნა მან ღირსება და სიცოცხლე, სანაცვლოდ კი სიმართლის თქმა აეკრძალა. დროთა მანძილზე იგი იქცა იმ ადამიანად, რომელსაც აღარც კარგი ძალუძს რომ აკეთოს და აღარც ცუდი. ადამიანური თვალსაზრისით, ალბათ, მართლაც ძნელია უდანაშაულოთა გაწირვა, მაგრამ უფრო ძნელია საკუთარ თავზე გამარჯვება. ამიტომაც, არსებული ხელისუფლების ფალავანმა სიმართლის თქმას დარბაზიდან დამარცხებული გასვლა ამჯობინა.

სულ სხვა განწყობილება და ფორმა მოძებნა უზენაესმა სასამართლომ მეორე კატეგორიის "დაზარალებულთა" დასაკითხად. სერიოზულობასა და წესრიგს მიჩვეული მოსამართლე უეცრად გამხიარულდა და ირონიული განწყობით დაუწყო შეკითხვების დასმა დედობრივი გრძნობით აღელვებულ ქალბატონს, რომელიც დეკემბერ-იანვრის დღეებში შვილის ძებნისას შემთხვევით დაიჭრა. ამ მეთოდმა იოლად გაჭრა - დარბაზში მხიარული განწყობა შეიქმნა, ხოლო საცოდავი ქალი საბოლოოდ დაიბნა. ეს იყო ტრაგიკული და შემაძრწუნებელი ამბის გარშემო ატეხილი სამარცხვინო და უზნეო მხიარულება და, როგორც ერთ-ერთმა განსასჯელმა აღნიშნა, მართლმსაჯულების დაცინვა და სასამართლო პროცესის პროფანაციის მცდელობა.

ხანგრძლივი წვალების შემდეგ ქალმა თქვა ის, რასაც მისგან მოითხოვდნენ. თქვა არა იმიტომ, რომ მინისტრივით კორუმპირებულია, არამედ იმიტომ, რომ "შვილის მომავალზე" ზრუნავს. შინ დაბრუნებული დედა, ალბათ, შეეცდება, თავის საქციელს გამართლება მოუძებნოს. გაიხსენებს, როგორ გაამხნევეს სხვა "დაზარალებულებმა" სასამართლოს ვესტიბიულში, როგორ გამოუტყდა პროცესის დაწყებამდე ერთ სანდომიან ქალბატონს, რომ წინა ჩვენებები გამოსძალეს, შემდეგ მეხსიერებას დაძაბავს და იმასაც მოიგონებს, რა მოხდა სინამდვილეში იმ უსიხარულო დილას და იმედია, მიხვდება, რომ სასტიკად მოატყუეს, რომ იმ სამყაროში, რომელსაც არსებული რეჟიმი ქმნის, მის "რესპექტაბელურ" შვილს მომავალი არა აქვს.

მომავალი არა აქვს არც გადამდგარი მინისტრის იმიჯს და არც სამსახურში რის ვაი-ვაგლახით აღდგენილი წვრილფეხა ჩინოვნიკების კარიერას - მათი "თავგანწირვა" ხვალ აღარავის ემახსოვრება.

სასამართლო დარბაზიდან კი (უკვე მერამდენე პროცესზე), რიკულების, ბადრაგისა და მილიციის უხეში კამუფლაჟის მიღმა, საოცარი სიფაქიზით მოჩანს საკუთარი ერის სიმამაცისა და სიამაყის, სიწმინდისა და მარადისობის სიმბოლოდ ქცეული პატრიოტიზმის სულიერი სახე. და ამ ცილისწამებისა და უსამართლობის კორიანტელში ვერავინ ამჩნევს, როგორ ემზადება ჩვენი სამშობლო გარდუვალი ამაღლებისთვის.

*ქეთევან ქურდოვანიძე*

## ზარანდია აგრძელებს შიმშილობას

სამხედრო ტყვე ბადრი ზარანდია ვენების გადაჭრის შემდეგაც არ გადაუყვანიათ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. იგი იმყოფება №1 იზოლატორის სანიტარულ ნაწილში, სადაც არ აძლევენ შესახვევ მასალას და გადახვევებისთვის აუცილებელ ბინტსა და ბამბას ოჯახი უგზავნის.

ბადრი ზარანდია ამავე დროს განაგრძობს შიმშილობის აქციას და უკიდურესად დასუსტებულია. მის მიმართვებს საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია.

# მრგვალი მაგიდის პრესკონფერენცია

14 მაისს საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების გაერთიანებამ "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" გამართა მორიგი პრესკონფერენცია. ბატონმა რამინ როგავამ წაიკითხა განცხადება "პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევის მკვლელობის გამო", ხოლო "მრგვალი მაგიდის" ვიცე-სპიკერმა თენგიზ კიკაჩეიშვილმა გამოაქვეყნა მიმართვა ჩეჩნეთის რესპუბლიკა "იჩქერიას" პრეზიდენტის, ზელიმხან იანდარბიევისადმი.

პოლიტიკური მოძრაობის "ჭყონდიდელი" წარმომადგენელი ჯემალ გამახარია დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა აფხაზეთის საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ 1996 წლის 17 აპრილს საქართველოს უკანონო პარლამენტმა, აფხაზეთიდან ლტოლვილი მოსახლეობის ზეწოლით და მათი დაშოშმინების და კიდევ ერთხელ მოტყუების მიზნით, მიიღო დადგენილება "აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ". ჯ. გამახარიამ განმარტა, რომ ხსენებული "დადგენილება" ფარატინა ქაღალდია, რომელიც არ შეიცავს კონკრეტულ და რეალურ წინადადებებს აფხაზეთის პრობლემის მოგვარების თაობაზე, ხოლო ე. შევარდნაძის გამოსვლა ე.წ. პარლამენტში აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, არის მხოლოდ თავის მართლება, ცილისწამება კანონიერ ხელისუფლებაზე, ერის გათიშვის მორიგი მცდელობა. გამოსავალი ამ სიტუაციიდან - შევარდნაძის უკანონო რეჟიმის გაუქმებასა და დევნილობაში მყოფი კანონიერი ხელისუფლების აღდგენაშია, რისთვისაც იბრძვის "მრგვალი მაგიდა".

სამაჩაბლოდან ლტოლვილთა აქციის შესახებ ინფორმაცია გააკეთა მორის მუსერიძემ.

დასასრულს მათ უპასუხეს ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

### საქართველოს ჰელსინკის კავშირის განცხადება

**1996 წლის 25 მაისს, 13 საათზე, მერაბ კოსტავას ეზოში, ჰელსინკის პროცესის მხარდამჭერი ჯგუფის დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ჰელსინკის კავშირი ატარებს პრესკონფერენციას, ხოლო 15 საათზე - "კოლხურ კოშკში" საიუბილეო კონფერენციას.**

**1996 წლის 26 მაისს, 16 საათზე, მთაწმინდის პანთეონში გაიმართება საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, რომელსაც დაესწრებიან ჰელსინკის კავშირის წევრებიც.**

### გაზეთის წინა ნომერში გაიპარა ფაქტობრივი შეცდომა

პუბლიკაციაში "სასამართლო პროცესი ცარიელ დარბაზში" წერია, რომ გამწარებულმა ზარანდიამ ისროლა ყავარჯენი. სინამდვილეში ზარანდიას ყავარჯენი თვითონ არ უსვრია საერთო აურზაურში. მისი ყავარჯენი ისროლა სხვა განსასჯელმა.

# TAVISUPALI SAKARTVELO

## (FREE GEORGIA)

## №18 (in brief)

## 21 - 27 May, 1996

### How They Failed

On May 16 Mr. Soso Zhgenti, Commander of Guria-Imereti Regiment of National Guards, was called as a witness. His Case due to the state o his health was isolated from the ongoing Court hearing. Presently he is hospitalized in the Prison Hospital with diagnosis of diabetes mellitus.

His testimony r. Soso Zhgenti began with the statement where he listed his accusations against the present day authorities and their juridical bodies.

The interrogation proceeded with significant difficulties. The situation was progressively becoming more and more strained. The Judge was not satisfied with the testimony of the witness and began to consider the discrepancies existing in the testimonies given during the preliminary investigations and those given to the Court. Mr. Zhgenti stated: "I would not dwell on the testimonies given in the course of preliminary investigation without my lawyer. She has never attended my interrogation." Then for several times he felt himself badly and the Session was postponed for the second day.

On the next day, on May 17, Soso Zhgenti refused to give testimonies unless he was returned to the Court Hearing as a defendant. His lawyer Mrs. Nana Lipartia declared: I do not have the right to confirm or neglect anything, since I am representing the interests of Mr. Zhgenti and am not called as a witness" Judge Aladashvili again tried to exert his usual psycho;logical pressure and reminded the lawyer that she had not fulfilled her promise not to meet Mr. Zhgenti until he has been interrogated as a witness (?!). "Well, if so, then did the Prosecutor have the right to meet him? Yesterday Mr. Zhgenti was visited by the Prosecutor in the hospital." - answered the defendant Mr. Zviad Dzidziguri.

"I am subjected to significant pressure. Since recently they did not allow my relatives to send me the food. That is all, I will not say anything any more. I am feeling badly and ask you to return me to the hospital." - said Mr. Zhgenti. The judge made an attempt to stop the protest of the defendants. The defendant Mr. Jambul Bokuchava made a statement: "Yesterday 35 minute after he had been returned to the hospital Mr. Zhgenti was visited by the investigators of the Prosecutor's Office who were trying to make a pressure on him. During the last 10 days he is regularly visited ..." According to Mr. Zviad Dzidziguri "the pressure on Zhgenti is being exerted for a long time, and yesterday's episode was a provocation in which I think participated the judge himself. We demand to stop exerting pressure on Mr. Soso Zhgenti." The Prosecutor's party and the Court Board came to the edge of the obvious political scandal. When judge Aladashvili at last came to his senses he ordered to return Mr. Zhgenti to the hospital.

### The Wife of Soso Zhgenti Asks for Support

The wife of Soso Zhgenti, Mrs. Aza Zhgenti appealed with the request to the chief physician of the Republican Prison Hospital and all medical personnel to render the adequate assistance to her husband who was suffering from diabetes mellitus. "I am very grateful for all you have don so far to save his life. As a woman and as a mother I ask you to remain faithful to Hippocratic Oath irrespective of the pressure you are experiencing from the Republican Prosecutor's Office. I am leaving my husband to you since the members of the family are forbidden to have any contacts with him., whereas according to my husband's statement made on May 17 at the Court Session he even did not receive the food we are sending to him, which considering his disease can become fatal for him."

### In Tbilisi Prison is Kept a Prisoner whose Name is Dudaev.

On may 3, 1996 from the Isolation Detention Cell of the Security Service to #1 Tbilisi Isolator was moved the citizen if the Chechen Republic of Ichkeria Mr. Hozh-Ahmed Dudaev. According to information available to us he was arrested on May 10, 1994 in Kazbegi by the officers of the Security Service and was charged with Articles 66 (spying) and 79-238 (weapon contraband) of the Criminal Code. He is supposed to import to Georgia great amount of weapons by 40 trucks of "Kamaz" model (?!).

As far as we are informed during his stay in the Isolation Detention cell of the Security Service he for several times demanded to be given the opportunity to meet the representatives of the International Red Cross and Human Rights Organizations but in vain. For two years he did not have any information about the processes going in Chechnya, he did not have any contact with his relatives, he is not aware whether the members of his family are alive or not, whether they moved to other place and respectively they also do not have any information about him.

On March 6, 1996, in the Supreme Court began the hearing of his Case, but after four sessions, under the decision of the Court Board the Case was returned to investigation due to the absence of facts confirming the crime. This very fact invites suspicion that the real reason for the arrest of the citizen of Chechnya is his nationality and obviously his name rather than presence of the signs of the crime in his actions.

As an additional information we would like to inform all interested persons and organizations that Mr. Hozh-Ahmed Khavazh Dudaev is born on June 13, 1968; the place of his permanent residence is the village of Checheno Aul of Grozno District, #15 Komsomolskaja st. He has a wife, Mrs. Mariam Dudaeva and two sons - 6 years old Hazir and 4 years old Ali.

We appeal to all to whom it may concern to inform us all they know about the family of Mr. Hozh-Ahmed Dudaev and/or inform his relatives about his whereabouts.

### Badri Zarandia Continues his Hunger Strike

The prisoner of war Mr. Badri Zarandia was not moved to the Republican Prison Hospital even after he had cut the veins on both hands. He is in medical room of #1 Isolator where he is not given anything to dress his wounds so all gauze bandages and cotton are sent to him by the members of his family.

At the same time Mr. Badri Zarandia continues his hunger strike and is extremely weaken. His appeals to the International Organizations are remained without any answer yet.

The defendant Zviad Sherozia expresses his protest against the removing the defendants from the Court hearing and demands to annul the unlawful decision and declares a hunger-strike. Provided within 10 days his demands are not satisfied he is going to began a dry hunger-strike.

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441
იბეჭდება ს/ს კეგელში

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia